




იმისთანა წმინდა საძმომი, ბეგობიღ ბუქდუბი სიფყვას, ფყილობით და ჭბბობით ბუბთის გაცნას ყულა უჯბბბბბბბბ უსბბბბბბბბ.

ბაბბბბბ 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რეპრეზენტატივა


ორშაბათი, 21 აგვისტო. 2023 წ. №96 (9628) ელ.ფოსტა: sakresp( და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

## კატასტროფა კასპრიობისთვის



უკრაინისთვის ეფ-16-ის ტიპის თვითმფრინავების მიწოდება კარგი ამბავი იქნება ამერიკის თავდაცვის მრეწველობისთვის და კატასტროფა კასპრიობისთვის.

რობერტ კენედი (უმცროსი)



## SOS

სექსუალური  
კალაღობა და  
საომაკი  
კონფლიქტები

## „მსბერბის წვერა“



ნბ. 6 ბბ.

## აეროპორტისა და რკინიგზის რუსული პროექტები, როგორც აფხაზეთის დასასრულის დასაწყისი




ნბ. 3 ბბ.

„სტრატეგიული“  
წამლეტი

დიდი ხანია რუსები აფხაზეთს საკუთარ ტერიტორიად თვლიან!

## რუსული LUNA-25 მთვარის ზედაპირს უეეჯასა და ბანაღბურდა

რუსულმა უპილოტო კოსმოსურმა ხომალდმა, Luna-25-მა კონტროლი დაკარგა და მთვარის ზედაპირს შეეჯახა. „მიზისის“ ინფორმაციით, თითქმის 50 წლის გან-



მავლობაში ეს რუსეთის პირველი მისია იყო მთვარეზე. გამოცემა წერს, რომ Luna-25 უნდა ყოფილიყო პირველი ხომალდი, რომელიც მთვარის სამხრეთ პოლუსზე დაეშვებოდა, თუმცა ის გაუმართაობის გამო განადგურდა. მისიის მთავარი მიზანი მთვარეზე დაშვებიდან მომდევნო ერთი წლის განმავლობაში მუშაობა და სხვა სადგურების დასაფრენად მომზადება იყო. რუსეთის სახელმწიფო კოსმოსურმა სააგენტომ, „როსკოსმოსმა“ შეჯახებამდე რამდენიმე საათით ადრე განაცხადა, რომ მათ დაკარგეს კონტაქტი ხომალდთან. ხომალდმა 11 აგვისტოს რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში, ამურის რეგიონში მდებარე „ვოსტოჩნის“ კოსმოდრომიდან აიღო სტარტი და მიმდინარე კვირას წარმატებით გავიდა მთვარის ორბიტაზე.

## ახალი სიტყვა საქართველოს აკადემიურ სამეცნიერო ლიტერატურაში



Climate-Smart and Circular  
Agriculture of Georgia

ნბ. 5 ბბ.





საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლომიძემ...



საქართველოსა და ისრაელს შორის სრულიად ახალი ეკონომიკური ურთიერთობა იწყება

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუსთან შეხვედრა ისრაელში ჩემი ვიზიტის ფარგლებში...

ყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმებაზე მუშაობა 2018 წლიდან დაიწყო...

რომ 2024 წლიდან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებები დაიწყება...

ადგინა, რაც 2021 წლის მაჩვენებელს (31,3 მლნ აშშ დოლარი) დაახლოებით 7 მლნ აშშ დოლარით უსწრებს...

შედარებით უკეთესი ვითარება ინვესტიციებთან დაკავშირებით...

თავდაცვის ძალებს ახალი თაობა უმაგობა

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია 104 წლისაა...



ბიჭ კურსზე ჩაბარებამდე უკვე ფლობდნენ ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს...

პარტია „ლელო“ რიკოტის გზასთან დაკავშირებით მორიგ ტყუილს აპრესკავს

გზსურს გამომწვევად, ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერით გასულ სიუჟეტს, რიკოტის ამბისტრალური გზის შესახებ, პარტია „ლელო“ მორიგ ცრუ გრადუაციასთან დაკავშირებით...

გააკვირეს თუ არა ავთიაქაბა ონკოლოგიური მედიკამენტები ხელმეორედ და როგორ აისწავლა კონკრეტული წამლების დეფიციტი - კონკურენციის სააგენტო ფარმაცევტულ მხარდასაც იკვლევს



გააკვირეს თუ არა ავთიაქაბა ონკოლოგიური მედიკამენტები ხელმეორედ და როგორ აისწავლა კონკრეტული წამლების დეფიციტი...

რა ავბავია ავღანი მათხოვარი?!

იუსტიციის სამინისტრო, რომელიც ერთ-ერთი მთავარი, წამყვანი ინსტიტუციაა ხელისუფლებაში...







# დიდი ხანია რუსები აფხაზეთს საკუთარ ტერიტორიად თვლიან!

დღეობა შოკში იყო იმის გამო, რომ ხსენებულ სამხრეთ პროექტში, რომლის შინაარსი ფართო მასშტაბის იხვე და იხვე შემთხვევით, სოცქსელიდან შეიტყვეს, აფხაზეთი მხოლოდ კოორდინატების სახით ფიგურირებდა: მასში არც დაზღვევის სახელწოდებები იყო მოცემული, არც ქალაქების, არც თავად ქვეყნის. და ვიმეორებ: ჩვენი პრეზიდენტის ადმინისტრაციას ეს დოკუმენტი „სტრატეგიული პარტნიორი“ მოსკოვიდან

**როგორი ნორმალური აღაპიანი იტყვის უარს მის ქვეყანაში ამოქოვრების ან რკინიგზის მშენებლობაზე? – მართალია, არც ერთი! მაგრამ აფხაზეთს ეს პროექტები შესაძლებელია, დასასრულის დასაწყისად ექნეს.**

# აეროპორტისა და რკინიგზის რუსული პროექტები, როგორც აფხაზეთის დასასრულის დასაწყისი

**ვეცდებით, განვარდოთ ფაქტობრივად დაფუძნებული ისტორიის ხისტი დასკვნის მიზანმიმართული ფაქტები ხომ, როგორც ცნობილია, ჰიუმი რაბა...**

დაპირფარები იმის შესახებ, რომ ერთ-ერთ წელიწადში აფხაზეთში აეროპორტი ამოქმედდებოდა და აფხაზეთი ლაინერები მსოფლიოს მამუტებით დაიწყებდნენ ფრენას, დიდი ხანია, გვემის. ამ ლამაზ ზღაპარს ჩვენი ხელისუფლებები შეესაბამებოდა რეგულაციებით გვიყვებოდნენ არჩევნებამდე და არჩევნების დროს. მაგრამ გადიოდა წლები, აეროპორტი კი კვლავ უმოქმედოდ ჩანადვლებოდა.

მორიგი იგავი აეროპორტის მოსალოდნელ ამოქმედებაზე, რაც „აფხაზეთის ეკონომიკას არნახულად ააყვავებდა“, 2021 წელს მოვისმინეთ. თუმცა მაშინ ხელისუფლებას „პატარა იაღლიში“ მოუვიდა ქალბატონი ეკონომიკის მინისტრის სახით, რომელმაც საკუთარი დაუდევრობით ხელთ ჩაუვლო ურნალისტებს რეალური ინფორმაცია დოკუმენტის შინაარსის, ვერძოდ, იმის შესახებ, თუ რა რჩებოდა აფხაზეთის სახელმწიფოს მფლობელობაში სოხუმის აეროპორტის „არნახული“ პროექტის რეალიზების შემდეგ. უხეშად რომ ვთქვათ, რუსი „ინვესტორის“ მფლობელობაში გადადიოდა ყველაფერი, აეროპორტამდე მისასვლელი გზის, №5 ნაგებობაში შესასვლელი კარისა და მთავარ დარბაზში ჩამოკიდებული ჭალის გარდა... მაშინ ყველაფერი „დოკუმენტის“ შინაარსის არასწორ ინტერპრეტირებას“ მიეწერეს და აგორებული სუბიექტური ჩაახსრეს, თუმცა ყველას ესმოდა, რომ კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს.

საქმეში ჩაუხედავი მკითხველი შესაძლოა, ვერ მიხვდეს, რატომაც ეს თითქოსდა რიგითი საინვესტიციო პროექტი ესოდენ მიუღებელი აფხაზეთის საზოგადოებისთვის. მოკლედ განვმარტავ მიზეზებს: დაიწყეთ იმით, რომ აეროპორტი – ეს სტრატეგიული ობიექტია, თანაც აფხაზეთის შემთხვევაში – ორმაგი დანიშნულების (მშვიდობიანი დროს – სამოქალაქო ლაინერების ფრენებისთვის, ომიანობის პერიოდში – სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის ამოცანების შესასრულებლად). მსგავსი ობიექტები ყოველთვის, ხაზს ვუსვამ – ყოველთვის სახელმწიფო საკუთრებაში უნდა რჩებოდეს. თუ აფხაზეთს აეროპორტის რეკონსტრუქცია-ამოქმედების რესურსები არ გააჩნდა, მაშინ მსგავსი ობიექტის ინვესტიციისთვის გადაცემისას ხელისუფლება ვალდებული იყო, სახელმწიფოს უპირატესი წილობრივი მონაწილეობა შეენარჩუნებინა, მაგრამ ეს რატომაც არ გაკეთებულა.

**ყველა საინვესტიციო პროექტი, როგორც ამ დრომდე აფხაზეთს აეროპორტთან დაკავშირებით შესთავაზეს, საფიანო იყო სახელმწიფოსთვის და არა სასარგებლო, მათ შორის – აეროპორტი უნი თვალსაზრისითაც.**

და მაინც, 2023 წლის 16 ივნისს, ვეფრეგურის საერთაშორისო აეროპორტის ფორუმზე უკვე ხსენებულმა აეროპორტი-

ის მინისტრმა კრისტინა თვარაძე აფხაზეთის სახელმწიფოს სახელით ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელმაც სოხუმის ვ. არქიტექტურის სახელმწიფო აეროპორტის გეგმი საბოლოოდ გადაწყვიტა.

**შინ გახდა სტრატეგიული ობიექტის მშენებლობა, ისევე, როგორც დედალური ინფორმაცია პირდაპირ, რომლითაც აეროპორტი რომელიმე რუს ოლიგარქს გადაეცა, ამ დრომდე უსწორი რჩება. საგამიეროდ ცხადი გახდა, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ აფხაზეთის მომავალი თამაშ მიჰყო ხელი და სახელმწიფოს სტრატეგიულ ობიექტებს ჩამოიღო ფსონად.**

ახლა გადავიდეთ რკინიგზაზე. მისი ამოქმედების თემის განხილვაზე აფხაზეთის ხელმძღვანელობა თითქმის ორი ათწლეულის განმავლობაში ამზობდა კატეგორიულ უარს. რუსეთთან მოლაპარაკებები მხოლოდ სერგეი ბაღატიის პრეზიდენტობის დროს დაიწყო. მაშინ აფხაზეთს ხალხმა ძლივს გადაიტანა რკინიგზის აღდგენა-განვითარებისთვის 2010 წელს აღებული 2-მლარდიან საექსპორტო კრედიტთან დაკავშირებული ისტორია, – ვალთან, რომელსაც აფხაზეთი დღემდე იხდის. რუსულმა კრედიტმა შესაძლებლობა მოგვცა, აგვემოქმედებინა მატარებლები სოხუმიდან მოსკოვის, პეტერბურგის, სოფისა და მელგოროდის მიმართულებით, თუმცა თავად რკინიგზა დღემდე ისეთივე საგალალო მდგომარეობაში რჩება, როგორც მანამდე იყო: ვაგზოების შენობები მცენარეებითაა დაფარული, სახურავებიდან კვლავ წყალი ჟონავს... აი, ასეთი ორმილიარდიანი ვალი, თანაც საკმაოდ სერიოზული პროცენტით, დააწესა მხრებზე ისევე გადატყვევებული აფხაზ ხალხს. კრედიტის ირგვლივ აუიოტაუი 2015 წლამდე გრძელდებოდა, მერე კი თითქოს ჩაახსრა.

განვლო კიდევ ექვსმა წელიწადმა. 2021 წელს კი სახელისუფლებო დერეფნებში მოულოდნელად აღაპარაკუნენ კრემლიდან გამოგზავნილ დოკუმენტზე, რომელიც „რუსეთის, საქართველოსა და სომხეთის ინტერესებში“ აფხაზეთის გავლით სარკინიგზო ტრანზიტის ამოქმედებას ითვალისწინებდა. აფხაზეთი საზოგად-



გამოუგზავნეს, თანაც თანდართული ინსტრუქციითურთ, რა უნდა მოემოქმედა სოხუმს რუსეთისთვის საინტერესო ამ პროექტის რეალიზებისთვის.

არ ვიცი, რა ზეციური ძალები ჩაერთვნენ მაშინ საქმეში, რომ პროექტი იმ ჯერზე სახელისუფლებო კამინეტებს არ გასცდენია, თუმცა როგორც შემდგომ გაირკვა – კვლავ მოკლე დროით.

როგორც ახლახან გახდა ცნობილი, ასლან ბუაჩია რუს ჩინონებთან სერიოზულ დონეზე აწარმოებს მოლაპარაკებებს აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის თაობაზე. მაგრამ თუ დასაწყისში იგი ამას „სომხეთის უკიდურესი საჭიროებებით“ ხსნიდა, ამჟამად რუსეთისა და ირანის დიდ ინტერესს დაუკავშირდა.

**მაინც რაში სჯობდა რუსეთს ეს პროექტი? აფხაზეთის მიმართ, როგორც სხვა სახელმწიფოებთან რუსეთის ლოჯისტიკური თანამშრომლობა მიმდინარეობდა, გართულებული, ქართულ-მათავალაგებელი მოსკოვისთვის უფრო მნიშვნელოვანად დაფიქრება შეიძინა. კერძოდ, საქართველოსა და ირანის დასაყრდენი (საგარეო სომხეთის კრავალი თითქმის აღარც ახსენებს) სანქციებისთვის გზავრდის ავლა, საქონლის ექსპორტი და იმპორტი კრავალითვის ერთ-ერთ**

უპირველეს ამოცანად იქცა. გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს მოსკოვის მულტიპლ სტრატეგია, საქართველო როგორც კოლიტივიანი, ისე ეკონომიკური კუთხით რაც შეიძლება, მხიდოდ მიიღას, რათა საგოლოლო პაპი, ძველანა კვლავ თავის ორგანიზაცია დააგრძელოს.

რაც შეეხება თავად საქართველოს, ქვეყნის ხელისუფლება იჩნებება, რომ აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა „მხოლოდ საქართველოს გამთლიანების შემდეგ შეესაძლებელი“ და ამ თემაზე „არავითარ ფარულ მოლაპარაკებებს არავინ არ აწარმოებს“. ქართველი ანალიტიკოსები კი საკითხის პოლიტიკური ასპექტის პარალელურად, იმაზეც ამახვილებენ ყურადღებას, რომ სადღეისოდ მსგავსი პროექტი ქვეყნისთვის ეკონომიკური კუთხითაც არაფრის მომტანი იქნებოდა. რომ აღარაფერი

**ვთქვათ სანქციებზე, რომელიც საქართველოს დასავლური სასაზღვრო შეზღუდვებისთვის გვერდის ავლაში რუსეთის ხელშეწყობის შემთხვევაში ელის.**

მიუხედავად ამისა, ასლან ბუაჩია, რომელსაც სატრანზიტო სარკინიგზო მიმოსვლის გახსნის თემაზე საუბარი ორი წლის წინაც უყვარდა, მაშინვე აცხადებდა, რომ რუსეთმა საქართველოს ხელისუფლებასთან საკითხი უკვე შეთანხმდა და საქმე „დამასრულებელ სტადიაში“ იყო. მოლო პერიოდში კი, იმავე თემაზე საუბრისას, ბუაჩიამ საკმაოდ კონკრეტული განცხადებები გააკეთა, ვერძოდ, დაბრუნდა, რომ სარკინიგზო ტრანზიტის თემაზე პუტინს ტელეფონით ესაუბრა, ყველა დეტალი შეთანხმებულია და რჩება მხოლოდ ერთი ნაბიჯი – პროექტის პრაქტიკული რეალიზების დაწყება. ხოლო თუ ამ სიტყვებს დავემატებთ სხვადასხვა რუსი მაღალჩინონების განცხადებებს, ასევე თემის „რუსეთ-საქართველოს საქმიანი სამუშაო“ ამასწინანდელ სტადიაზე განხილვის ფაქტს, უნებლიედ ჩნდება აზრი, რომ საქართველოს ხელისუფლება, რომელიც მხოლოდ დროს რუსეთის მიმართ სულ უფრო მეტ ლოიალობას იჩენს, ძალიანაც კარგადაა „საქმეში“ და მისთვის ერთდეროდ გადასაჭრელ საკითხად ის რჩება, როგორ აუხსნას ამ საქმეში მონაწილეობა საქართველოს მოსახლეობასა და დასავლელ პარტნიორებს ისე, რომ წყლიდან მშრალი გამოვიდეს. არადა, რეალურად საკითხი ისაა, რა ფასის გადახდა მოუწევს ამ ყველაფერში საქართველოს?

**რაც შეეხება აფხაზეთს, ამ საქმე გვერად მარტობადაა: რუსები აფხაზი ხალხისთვის აზრის კითხვას არ აპირებენ, რაღაზნი დიდი ხანია, აფხაზეთს თვლიან საპუტარ ტერიტორიად, რომლის ხსენებულ პროექტში მხოლოდ კოორდინაციითაა აღნიშნული. ეს – ალბათ, ქართველების მოსათაფლად, რომელთათვისაც მათ ხელისუფლებას მალე სიამართლის გახელება მოუწევს.**

**კრისტინა ავიკია**  
(გაქვტი შეიძავს ტოპონიმებსა და ტერიტორიებს, რომლის ოკუპირებულ აფხაზეთში გაემიყვანა)



# ენერგეტიკასა და მუნიციპალიტეტში კარგი პოტენსიალი გვაქვს

## განვიხილოთ თუ არა წელსაც უარსაღილი საინვესტიციო რაიონები?

შსს-ის მხრივ 2022 წელს ქართულ ეკონომიკაში 2.1 მლნ დოლარის ინვესტიცია ჩადეს, რაც რეკორდული მაჩვენებელია საქართველოს ისტორიაში. ეკონომისტები აღებულ ტემპს გავრცელებას ელიან წელსაც და ვარაუდობენ, რომ საინვესტიციო მონაცემები შარშანდელზე ნაკლები არ იქნება.

„საქსტატი“-მ იმერეთის რეგიონული დაზუსტებული მონაცემებით, რეინვესტიციის წილმა მთლიანი შიდაპროდუქტის ინვესტიციების 66%-ს მიაღწია.

შიდაპროდუქტის უცხოური ინვესტიციებში გაერთიანებული სამეფო ლიდერობს 20.8%-ით (437 მლნ დოლარი), მეორეხარისხით 17.2%-ით (360.5 მლნ დოლარი), მესამე პოზიციას კი ინდონეზია იკავებს 9.4%-ით (196.2 მლნ დოლარი).

სექტორებს შორის საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობებში ლიდერობს 538 მლნ დოლარით, ეს მთლიანი შიდაპროდუქტის უცხოური ინვესტიციების 25.6%-ია. მეორე პოზიციას უკავია ქონების სექტორი 366.5 მლნ დოლარით (17.5%), მესამე – წყალმომარაგება და ნარჩენების მართვა 197.2 მლნ დოლარით (9.4%).

შიდაპროდუქტის უცხოური ინვესტიციები კომპონენტების მიხედვით: სააქციო კაპიტალი – 696.8 მლნ დოლარი; რეინვესტიცია – 1 378.4 მლნ; სავალე ვალდებულებები – 22.7 მლნ დოლარი.

სპეციალისტები შიდაპროდუქტის აღნიშნულ მონაცემებს მოლოდინს უკავშირებენ და საინვესტიციო მაჩვენებლები კიდევ გაუმჯობესდება.

ამას დასაბუთებენ შიდაპროდუქტის წლის წინასწარი მონაცემებიც. საქართველოში განხორციელებული შიდაპროდუქტის უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2023 წლის I კვარტალში 496.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2022 წლის I კვარტალის წინასწარ მონაცემებზე 13.7 პროცენტით ნაკლებია, ხოლო 2022 წლის IV კვარტალის მონაცემებზე 53.3 პროცენტით აღემატება.



როგორც ფინანსისტი, გიორგი ცუცქერიძე მიიჩნევს, ის მაჩვენებლები, რაც ახლა გვაქვს შთაბეჭდილება, თანაც ინვესტიციები, ეკონომიკის თითქმის ყველა დარგში იდგება.

შიდაპროდუქტის უცხოური ინვესტიციები 497 მლნ დოლარამდე შიდაპროდუქტის უცხოური ინვესტიცია. მართალია ეს ნაკლებია გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით, როცა 575 მილიონი იყო, მაგრამ დადასტურებული 497 მილიონი არის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი პირველ კვარტალში მთლიან 10 წლის განმავლობაში, თუ შარშანდელ წელს არ ჩავთვლით.

ყველაზე მსხვილი ინვესტიციები ევროკავშირის ქვეყნები იყვნენ, ასევე გაერთიანებული სამეფო, ნიდერლანდები, აშშ და თურქეთი, ეს ტენდენცია კი წელსაც გრძელდება. კაპიტალი ეკონომიკის ყველა მიმართულებით იდგება – უძრავი ქონების, ფინანსური სექტორის, ვაჭრობის, მრეწველობის და ენერჯეტიკის მიმართულებით.

ასევე, გასათვალისწინებელია, რომ რეინვესტიციების მაჩვენებელი გაზარდილია 64%-მდე, ასევე 3-ჯერ არის გაზარდილი ინვესტიციები სააქციო კაპიტალში, ხოლო ყველაზე მცირე სამომავლო ვალდებულებებშია. ეს ნიშნავს, რომ საქართველოსა და მსოფლიო იზრდება, – აღნიშნა ცუცქერიძემ და დასძინა, რომ აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ წელსაც შესანიშნავი შედეგი გვექვება.

„მიუხედავად იმ გლობალური გამოწვევებისა, რაც დაკავშირებულია უკრაინის ომთან და მის ეკონომიკურ ხასიათთან, ქართული ეკონომიკა მაინც ინარჩუნებს მაღალ მიზიდვლობას უცხოური ინვესტიციების მხრივ, რაც არის თავისებური ინდიკატორი ეკონომიკის მიმზიდველობისა. გვაქვს საკმაოდ კარგი პოტენციალი, მათ შორის ენერჯეტიკაში, მშენებლობაში. ოპტიმისტური უნდა იყოს შეფასება წელსაც, მით უმეტეს პოლიტიკური რყევები არ არის, სტაბილურად ვითარდება ეკონომიკა“, – დასძინა ცუცქერიძემ.

ჯეძა დანელია

# იზარდა სკოლის დოლარო, არ გახდა ფუყე ლარიო!..

## რა ღირს სწავლა თბილისის ყველაზე ძვირადღირებულ სკოლებში?

საქართველოში არაერთი სახარო და კერძო სკოლას შორის საკმაოდ მრავალფეროვანია. თანამედროვე სკოლებში უფრო უკეთესი სწავლის ხარისხი უზრუნველყოფს მოსწავლეებს. სკოლის დაწყების მოახლოებასთან ერთად აქტუალური ხდება სწავლის საფასური, რომელიც როგორც აღმოჩნდა წელიწადში 27.500 დოლარამდეც ანუ დაახლოებით 75 000 ლარამდეც კი აღის.

„კომერსანტი“ შეასაბამა ბაზრის მდგომარეობა, რომელიც თბილისში ყველაზე ძვირადღირებული კერძო სკოლაა: QSI – საერთაშორისო სკოლა – წლიური გადასახადი 27 500 დოლარი;

გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია – 15 000 ლარიდან 26 500 ლარამდე;

ევროპული სკოლა – წლიური გადასახადი ქართულ პროგრამაზე – 5000 ევრო; საერთაშორისო პროგრამაზე – 9000 ევროდან 11000 ევრომდე;

მნიტანულ-ქართული აკადემია – წლიური გადასახადი ქართულ პროგრამაზე 6000 დოლარიდან, მნიტანულ პროგრამაზე 8000 დოლარიდან.

ახალი სკოლა – წლიური გადასახადი ქართულ პროგრამაზე – 3150 ევრო; ინგლისურენოვან პროგრამაზე – 8200 ევრო;

სკოლა ლოგოსი – წლიური გადასახადი 3100 დოლარიდან 5200 დოლარამდე;

წმინდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლა – წლიური გადასახადი 4000 დოლარიდან;

U&S School – იუჯი სკოლა – წლიური გადასახადი 11000 ლარი;

მაქსველის საერთაშორისო სკოლა – წლიური გადასახადი 10 800 ლარი;

ნიუტონის თავისუფალი სკოლა – წლიური გადასახადი: ქართული პროგრამა – 9000 ლარი, IB პროგრამა – 4000 ევროდან 5500 ევრომდე.

2022-2023 სასწავლო წლისთვის საქართველოში არსებული 2 308 სკოლიდან 216 კერძოა. „თბილისი კაპიტალის“ კვლევის მიხედვით, 2022-2023 წლებში კერძო სკოლების საშუალო ღირებულებამ 6,500 ლარი შეადგინა, მომდევნო წელს კი კერძო სკოლების საშუალო ფასის 5-10%-იანი ზრდაა მოსალოდნელი.

# საკუთარი ბიზნესი კი არა, უსინდისობაა!

კონკურენტის პროვოცირება საბანკო სანქციის გაზარდა მოქმედი სუბილი მსხვილი რეალიზატორი დაჯარიმა, სანქცია ჯამურად 4 მლნ ლარს აღწავს



ლოს“ მიერ „კონკურენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევა. კერძოდ, შესყიდვის ან გაყიდვის ფასის, ან სხვა სავაჭრო პირობების შიდაპროდუქტის ან არაპროდუქტის დადგენა“, – აცხადებენ სააგენტოში.

სააგენტოს შეფასებით, განსახილველ პერიოდში კონკრეტული კომპანიების შემთხვევაში ხელმისაწვდომი იყო ევროპულ საწვავთან შედარებით დაბალი თვითღირებულების მქონე არაევროპული საწვავი, ხოლო რიგ შემთხვევებში კონკრეტული კომპანიის (კომპანიების) მიერ ხდებოდა დაბალი თვითღირებულების მქონე ევროპული საწვავის რეალიზაცია მხოლოდ სამიზნით გაზარდა, მათ შორის, კონკურენტ კომპანიებზე. ორივე შემთხვევაში (ევროპული და არაევროპული საწვავი) ადგილი ჰქონდა საწვავის თვითღირებულებიდან მომდინარე კონკურენტული უპირატესობის გამოყენებლობას. შედეგად, საავტომობილო საწვავის საცალო ბაზარზე შენარჩუნებული იქნა მაღალი ფასი, რაც, სააგენტოს გადაწყვეტილებით, მოპასუხე

5 კომპანიის კოორდინირებული ქმედების შედეგს წარმოადგენდა. სააგენტოს გადაწყვეტილებით, ხუთ ეკონომიკურ აგენტს შესაბამისი ფინანსური სანქცია – ჯამში, 4 მილიონ ლარამდე დაეკისრა. კერძოდ: შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია – 1 073 998 ლარი; შპს რომპეტროლ საქართველო – 987 886 ლარი; შპს სოკარ ჯორჯია პეტროლიუმ – 719 310 ლარი; სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია – 693 576 ლარი; შპს ლუკოილ ჯორჯია – 450 590 ლარი.

„მაზარზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით, შესასრულებლად აუცილებელი რეკომენდაცია გაიცა, რაც გულისხმობს საწვავის ჩასხმის სიზუსტის კონტროლის უფრო ეფექტურად განხორციელებისათვის საჭირო პროცედურული მექანიზმების შემოღებას.“

კანონმდებლობის შესაბამისად, სააგენტოს გადაწყვეტილების განაჩენება კომპანიებს შეუძლიათ თბილისის საქალაქო სასამართლოში.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან და მაზრის ტრანსპარენტული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სააგენტო საავტომობილო საწვავის (მენზინი, დიზელი) მაზრის მონიტორინგს აგრძელებს.

მოკვლევა 2022 წლის 16 აგვისტოს საქართველოს პრემიერ-მინისტრის რეკომენდაციის და კონკურენტის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების საფუძველზე დაიწყო. სააგენტოს შეფასების პერიოდი 2022 წლის იანვარ-აგვისტოს შუალედს მოიცავს, – აცხადებენ სააგენტოში.

# საქართველომ რუსეთში მანქანების მიწოდება სრულად აკრძალა!

საქართველომ რუსეთში ავტომობილების ექსპორტი აკრძალა. 1 აგვისტოდან შეზღუდული იყო ამერიკული მანქანების 1,9 ლიტრი და მეტი ძრავით, შიპრი-დული და ელექტრომობილების საზღვარზე გატანა. ამის შესახებ რუსული კომერსანტი წერს. ევროპული პროდუქციის ტრანზიტზე მსგავსი აკრძალვა 26 სექტემბერს უნდა ამოქმედდეს. გადაზიდვები ამომზენ, რომ ისრაელიდან იდის ხნის წინ დაიწყო, ხოლო ექსპორტები ირჩუნებია, რომ აკრძალვის ეფექტი სუსტი იქნება – სანქციონირებული მანქანების იმპორტის სხვა გზები მოიძებნება. გადაზიდვების თქმით, საქართველო-რუსეთის საზღვარზე მანქანების ტრანზიტთან დაკავშირებული პრობლემები უკვე ორი-სამი თვეა გრძელდება. 50,000 დოლარზე მეტი ღირებულების მანქანები არ დაიშვებიან, მათ შორის არც სომხეთიდან ექსპორტზე. ეს იყო ყველაზე ძვირადღირებული

ავტომობილები, რომლებიც გადაჰყავდათ უზრუნველყოფას, ამ მარშრუტით ძირითადად „ამერიკული“ მერსედეს-ბენცისა და BMW-ს მყიდველები სარგებლობდნენ.

2023 წლის დასაწყისიდან საქართველოდან რუსეთში ავტომობილების ექსპორტი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით თითქმის ოთხჯერ გაიზარდა და 3,78 ათასი ერთეული შეადგინა. თუმცა, რუსეთი ქვეყნიდან ავტომობილების იმპორტით პირველ ადგილზე არ არის: ლიდერობს სომხეთი, სადაც საქართველოდან 10,2 ათასი ავტომობილი იქნა გატანილი, ეს 12-ჯერ მეტია, ვიდრე 2022 წლის იანვარ-ივლისში. რუსეთის ასევე უსწრებენ ყირგიზეთი, ყაზახეთი და აზერბაიჯანი.

მასპროტოკოლი განაგრძობს არ ჩქარობენ: მათი თქმით, საქართველოს აკრძალვის შემდეგ მანქანები, მაგალითად, ყაზახეთში ან ყირგიზეთში გადაიგზავნება და იქედან მოხვედრება რუსეთში, თუმცა უფრო გზადილი ფასით.











## სამსუაღური ძალადობა და სამართალი კონფლიქტები

### „სამსუაღურის წესები“

შპრანიონის მოვლენებმა სამხედრო კონფლიქტების დროს სექსუალური ძალადობის პრობლემა კვლავ საზოგადოებრივი ყურადღების ფოკუსში მოაქცია. დაუპყრებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ოკუპანტების ძალადობის მსხვერპლი ხშირად ბავშვებიც ხდებიან. ჯერ კიდევ 2022 წლის მარტში გაეროს ინიციატივით შეიქმნა უკრაინაში კანონდარდვებითა გამოძიების დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისია, რომლის მონაცემებით, სექსუალური დანაშაულის მსხვერპლთა ასაკი 4-დან 80 წლამდე მერყეობს. 2023 წლის იანვრისთვის უკრაინის გენერალური პროკურატურა სექსუალური ძალადობის უკვე 155 საქმეს იძიებდა. და პრაქტიკაში (გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური მდივანის კონფლიქტების დროს სექსუალური ძალადობის საკითხებში) ამ ციფრებს მხოლოდ „აისმერგის წყვილი“ უწოდა.

საქართველოში ამას იშვიათად თუ ვიხსენებთ, მაგრამ აფხაზეთის ომის დროსაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლი უამრავი ქალი და ბავშვი გახდა. ეს დანაშაულები, საუბედუროდ, დღემდე არავის გამოუძიებია და არც არავინ დასჯილა.

გაუპატიურების კომპარული შიში ძალიან ბევრმა გამოსცადა მათ შორის, ვინც მაშინ აფხაზეთიდან გადარჩა. მედიკოსები დროდადრო კონკრეტული ფაქტები ქვეყნდებოდა. ცნობილია, მაგალითად, გავრამში მომხდარი შემთხვევა, რომლის დროსაც 19 წლის მ.ა. მამის თვალწინ ცამეტმა მებრძოლმა გააუპატიურა, შემდეგ მამა-შვილი ხეზე მიამბეს და ცოცხლად დაწვეს; ოჩამჩირის რაიონში 12-16 წლის ასაკის 25 ქართველი გოგონა მთელი სოფლის თანდასწრებით გააუპატიურეს; მსგავსი ფაქტები ამ რაიონის სხვა სოფლებშიც მოხდა.

როდესაც სოხუმის აღების სამიზნობა დადგა, ქალებს სიკვდილზე მეტად გაუპატიურების ემინდათ. ხშირად ამის გამო ტოვებდნენ საცხოვრებელ ადგილს და დევნილები ხდებოდნენ. უამრავი ქალის შემთხვევაში კი ეს მხოლოდ კომპარული შიში არ ყოფილა და სულიერი ტრავმისგან დღემდე ვერ განიკურნენ.

#### დროა, დამნაშავეებს პასუხი საქართველოში მოსთხოვოს!

შოთა მალაშვილი — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი საპარლამენტო კომისიის ყოფილ თავმჯდომარეს (2004-2012 წ.წ.) მიაჩნია, რომ დროა, აფხაზეთის ომის დროს ჩადენილ ძალადობაში დამნაშავეებს პასუხი მოეთხოვოთ.

ამ კომისიის თავის დროზე უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა, რომ ძალადობის ფაქტები დოკუმენტურად დაეფიქსირებინა. შეიქმნა მნიშვნელოვანი რესურსი, რომლის საფუძველზე შესაძლებელია სისხლის სამართლის საქმეების აღძვრა და გამოძიების დაწყება:

— ვიდეოგადაღებაზე რომ დავთანხმებულებიყვენ, ცალკე მუშაობა დაგვიჩნდა. დევნილები პარლამენტში მოგვყავდა, ვესაუბრებოდით და ვუხსნიდით, რისთვის იყო

**ეთნოგენდის ფორმაში განხორციელებული მასობრივი გაუპატიურებები განუყოფელია უფრო მეტი დანაშაულია, ვიდრე რიგითი გაუპატიურება და მათზე ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება. საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ეთნოგენდის არის ან კანონდარდის წინაშე დანაშაული, ან სამხედრო დანაშაული, ან ბენოციდი.**



ეს საჭირო. ეთნოგენდისა და თანმდევი მოვლენების (მათ შორის — გაუპატიურების) 600-მდე თვითმხილველი ჩაწერეთ. სახე ყველას დაფარული აქვს. ეთნოგენდის ფორმაში განხორციელებული მასობრივი გაუპატიურებები განუყოფელია უფრო მეტი დანაშაულია, ვიდრე რიგითი გაუპატიურება და მათზე ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება. საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ეთნოგენდის არის ან კანონდარდის წინაშე დანაშაული, ან სამხედრო დანაშაული, ან გენოციდი. ქართველების მიმართ ჩადენილ ეთნოგენდის ასეთი კვალი ითვლება რომ მისცემოდა, დოკუმენტური მტკიცებულებები უნდა გვქონოდა. სწორედ ამ მასალების შესაგროვებლად ვირჯებოდით. ადრე დასავლეთი 2008 წლის და 2014 წლის ომებსაც კი არ აღიქვამდა სერიოზულად, 2022 წელს კი, როგორც იქნა, გაიგო, ვისთან აქვს რუსეთის სახით საქმე. ახლა დადგა მომენტი, როდესაც შესაძლებელია ამ მასალების გამოყენება. ჩვენ გვიჩნდა ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება და სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება, რაც, მათ შორის, სამხედრო დამნაშავეების გამოვლენა-დასჯასაც ითვალისწინებს.

სამხედრო გაუპატიურების სწორი კვალი ითვლება იმისთვის აუცილებელია მისი დესტრუქციული არსის კონკრეტული შეფასება. მწერალი და ჟურნალისტი რაფაელ გრუგმანი თავის წიგნში „ქალი და ომი; სიყვარულიდან ძალადობამდე“ სამხედრო გაუპატიურებების სამ ძირითად ნიშანს ასახელებს:

- **საჯაროობა, ანუ ყველაფერი ღიადა ხდება; მოძალადე დარწმუნებულია თავის უფლებამოსილებაში, ჩაიდინოს ყველაფერი, რაც მოეპოვება;**
- **ქალები ჯგუფური გაუპატიურების მსხვერპლი ხდებიან. მოძალადეთა ჯგუფით, კოლექტიურად ძალადობის აქტი სამხედრო სამხრის ერთიანობის სიმბოლური დადასტურება;**

#### ● გაუპატიურების მსხვერპლს ხშირად კლავენ.

ამ მხოლოდ ერთი ფაქტი აფხაზეთის ომის ვეტერანის მოგონებებიდან:

„**კინდლთან „მხედრობის“ ჰქონდა გზა გადაკეტული. აღმოჩნდა, რომ ცოტა ხნის წინ დიდი შეტაკება მომხდარა და ჩვენი ექვსი კაცი მოუკლავთ. გამწარებულეებს უდასაშუალოდ აფხაზეთი დედა-შვილი შერჩათ ხელში. მივხვდი, რასაც უნამდნენ და ახალგაზრდა გოგო აღვებე მოვკლავი. დედამისმა ამისთვის მადლობაც კი მითხრა, რადგან მიხვდა, რომ მისი შვილი სიკვდილზე უფრო დიდ უბედურებას გადავარჩინე. გააუპატიურებდნენ და მოლოდინს მაინც აუცილებლად მოკლავდნენ...**“

სიუზენ ბრაუნმილერმა (ჟურნალისტი, მწერალი და ფემინისტი), რომელმაც სამხედრო გაუპატიურებები ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით შეისწავლა, საბოლოოდ დაასკვნა, რომ ომი დამატებითი გარემოა ქალის მიმართ უკვე არსებული სექსისტური დამოკიდებულების გამოსავლენად. მამაკაცთა სამხედრო სამო ქალს აგრესიის ბუნებრივ ობიექტად განიხილავს.

ამ დასკვნას რაფაელ გრუგმანის ზემოთ მოყვანილი მოსაზრებებიც ეხმარება. თქვენი მონა-მოზარდის აზრით კი, ამაზე ისიც მიუთითებს, რომ იარაღით გათავებულეული მოძალადე ხანდახან არც საკუთარი ხალხის წარმომადგენლებს ინდობს. ამის დამადასტურებელი ერთ-ერთი ფაქტი აფხაზეთის კონფლიქტის დროს მოხდა:

„...ერთი ძალიან ჯგვიანი გოგონა მოდიოდა აფხაზეთიდან, მაგრამ ვერ შეძლო გადმოფრენა თვითმფრინავით — ეს მაშინ ძალიან ძნელი იყო. ცხრა მიჯი დაჰქონდა, რომ გამოაფრენდნენ. გოგონა მათ ენდოდა და გაჰყვა. სოხუმში რომ ჩავიდნენ, ძალიან სასტიკად მოექცნენ და გაუპატიურეს. გოგონამ ვერ აიტანა შეურაცხყოფები და იქვე ვენები გადაიტყრა. ამ ცხრა მიჯიდან ერთ-ერთს ძალიან შეეცოდა და გადაარჩინა.“

საავადმყოფოში წოლისას იქვე იმყოფებოდნენ გოგონას ნათესავის მეგობლები. მათ შეატყობინეს ოჯახს და გოგონა სვანეთში გადმოიყვანეს. აქ კი, თანაგრძობის მაგიერ, მშობლებისა და ძმებისგან დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. ბოლოს და ბოლოს, გოგონას თავი მოაკვლევინეს“ („ქალები; სიტუაციის პროფილირება საქართველოში“, 2002).

— არაერთგზის მოთქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ: დამნაშავეს ეროვნება არ აქვს. მითუმეტეს, როცა დაუცველ აღამაინებ ძალადობს. ეს ომის კანონებით არ მართლდება. მოძალადე ყველა უნდა დაისაჯოს — ქართველიც და აფხაზიც! — ამბობს შოთა მალაშვილი.

#### გაუპატიურება, როგორც ქალაქობის დამონსტრირება

ნამისმიერი ძალადობის უკან საკუთარი ძალაუფლების დემონსტრაცია და მსხვერპლის დამცირების სურვილი დგას. სექსუალური ძალადობაც ამ კანონზომიერებაში იწერება. მასობრივი სექსუალური ძალადობა ფსიქოლოგიური ომის იარაღია, რომლის მიზანს მოწინააღმდეგის დემორალიზება წარმოადგენს. ამ აქტით თავდასხმელი, მის წარმოსახვაში, „პატივს აყრის“ არა მარტო კონკრეტულ ქალს, არამედ მთელ ქვეყანას.

ისტორიული პარალელი: ჩინგის ყენს მოწინააღმდეგის ქალებისთვის პატივის აყრა და მათი შვილების დამონება/დახოცვა იდეალური მეომრის უწმიდეს მოვალეობად მიაჩნდა. იყიდნენ რა ამის შესახებ, ბუხარელმა მამაკაცებმა ჯერ ცოლები დახოცეს და მერე თავად მოისწრაფეს სიცოცხლე. ხოლო როდესაც პეკინი დაეცა, ქალაქის გალავნიდან ათეულ ათასობით ქალწულმა თავი გადაიჩინა.

#### საერთაშორისო სამართალი

სპეციალური კანონმდებლობა სამხედრო გაუპატიურებების წინააღმდეგ დიდი ხანია, არსებობს.


ჯერ კიდევ 1988 წელს რუანდაში, კაცობრიობის ისტორიაში პირველად, საერთაშორისო ტრიბუნალმა მასობრივი გაუპატიურება განიხილა აქტი გაუტოლად, ხოლო 2001 წელს იუგოსლავიაში — კაცობრიობის წინაშე დანაშაულს.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, ქალი ტყვეები, ან დაკავებულები უნდა მოთავსდნენ მამაკაცებისგან განცალკევებით, ქალების მეტოვალე ყურების ქვეშ. ქალები დაცულნი უნდა იყვნენ, გაუპატიურების, ძალადობრივი პროსტიტუციის და ყველა სხვა ფორმის შეურაცხყოფისაგან (ჟენევის მეოთხე კონვენცია, მუხლი 27, ასევე მუხლები 75-76, პროტოკოლი 1). საომარი მოქმედებების არეალიდან გარდემისას პრიორიტეტი ყოველთვის უნდა მიენიჭოთ ორსულებს, ახალნამშობიარებ ქალებსა და ჩვილი ბავშვების დედეებს (მუხლი 70, პროტოკოლი 1).

თუმცა მხოლოდ კანონებით ამ სენს ვერ ვუშვებით, აუცილებელია პრევენცია, კერძოდ, აღზრდის იმგვარი სისტემის საყოველთაო დანერგვა, რომელიც ნებისმიერი ძალადობის შინაგან მიუღებლობას ჩამოაყალიბებს. ამისთვის კი საერთაშორისო ინსტიტუტებისა და ხელისუფლებების ერთობლივი მოქმედება საჭიროა.

მედეა გოგიაძე.  
ამანტონი





# საკალ დამა, ანუ სისხლიანი ყანა

რომ იუდას, რომელმაც იესო გასცა, დაინახა, რომ მას მსჯავრი დასდეს, ინანა და უკან მიუბრუნა ოცდაათი ვერცხლი მღვდელთმთავრებს და უხუცესებს. უთხრა: „შევცოდე, მართალი სისხლი რომ გავეცი“. მათ კი უთხრეს: „ჩვენ რა? შენ იცი“.

დაყარა ვერცხლი გაძარში, გამოვიდა, წავიდა და თავი ჩამოხრჩო. ხოლო მღვდელთმთავრებმა აიღეს ის ვერცხლი და თქვეს: „დაუშვებელია ამის საგანძურში დადება, ვინაიდან სისხლის საფასურია“. მოითათბირეს და იყიდეს იმით მეთუნის მინდორი გარეშეთა სასაფლაოდ. ამის გამო იმ მინდორს დღემდე ეწოდება სისხლის მინდორი.

მათ 27, მათ 1, 19.

ეს ცნობილი გახდა იერუსალიმის ყველა მკვიდრისათვის. ასე რომ მათ საკუთარ ენაზე ეწოდა იმ მიწას – „საკალ დამა“ ანუ – „სისხლის ყანა“.

მოციქულთა საქმიანობა  
თავი 1, 19

## გოგი ხარაბაძე

### მან ქართულ კულტურულ საბანძურში დაიმკვიდრა ადგილი

გატონმა გომამ ათწლეულების განმავლობაში თეატრალური და კინოხელოვნების ერთგული მსახურებით საერთო სახალხო სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა. მის მიერ შექმნილმა დაუფიქრებელმა სახეებმა ქართულ კულტურულ საგანძურში დაიმკვიდრეს ადგილი. გულწრფელ სამდიმარსა და თანადგომას ვუცხადებ გოგი ხარაბაძის ოჯახს, ახლობლებსა და მთლიანად ქართველ საზოგადოებას.

#### ირაკლი ღარიბაშვილი

გუშინ საზოგადოება გომამ ხარაბაძეს დაემშვიდობა. კინოსა და თეატრის მსახიობი, რეჟისორი და მწერალი გოგი ხარაბაძე სიონის საკათედრო ტაძრიდან გამოასვენეს და მახათას საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს... მარადიული სასუფეველი დაუშვებდნენ!

#### უსწაურია...

მაგრამ გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ნანახი და განცდილი მას შემდეგ არასოდეს მომგონებია...

არც მაშინ, როცა მიჭებთან ერთად რუსთაველის გამზირზე მთავრობის სახლის წინ ვსეირნობდი.

არც 1989 წელს, როდესაც ღამის სამ საათზე აპრილის თბილი წვიმა წამოვიდა და მიკროფონში საქართველოს პატრიარქის სიტყვები გაისმა „საშიშროება მოდის, გვიახლოვდება“...

არც მაშინ, როცა ეს საშიშროება მართლაც მოეთრა და რუსთაველზე საბჭოთა „მეტეერები“ გამოჩნდა, უკან ნიჩამოღერებული ჯარისკაცებით...

არც მერე 91-92 წლებში, როდესაც ის ადგილი – მთავრობის სახლის წინამდებარე ტერიტორიას ვგულისხმობ – მეტონის ლოდებით და დიდი თვითმცველი მანქანებით შემორავული, – ბრეგენტის კარვებით იყო დაფარული...

იქვე გავარდა პირველი ტყვია და იქვე დაიღვანა სისხლი.

მეგრევე ჩამივლია იქ...

და მხოლოდ ახლა, 2003 წლის 22 ნოემბერს, როცა ტელევიზიით ვუყურებდი საქართველოს უღლეური პარლამენტის სხდომას, სადაც ასობით ადამიანი შევარდა სხდომათა დარბაზში – ზოგი სუამებს აყირავებდა, ზოგი მერხებზე დახტოდა, ზოგი „კოკა-კოლას“ ნარჩენებს სვამდა, ზოგიც – პრეზიდენტის ჩაის, ერთი ახალგაზრდა კი სპიკერის ჩაქუჩს მომეტებულად უზრახუნებდა მაგიდას – ჩემს მესხიერებაში უცებ ინათა,

აღდგა ბავშვობაში ნანახი საოცარი სურათი, რომელსაც თითქოს ამ დღისთვის ეძინა ჩემს მესხიერებაში.

ზამთარია. საღამოს ექვსი საათი იქნება. თბილისში უკვე მწვანეა. პირველი ვაჟთა სკოლის დაწყებითი კლასის მოსწავლე ვარ, გაკვეთილები დაგვიმთავრდა, დამრიგებელმა სკოლის კარამდე გამოგვაცილა. გარეთ დედა მლოდობდა. გამოვდივარ. ვხედავ, რაღაც ჩოჩქოლია, რაღაც უჩვეულო ხდება, დედაჩემიც აქვია, მაგრამ ისიც ჩვეულებრივზე მეტად აფორიაქებული და მზრუნველი. ხელს მკიდებს და ოპერისაკენ, მარცხნივ მექაჩება, ვგრძნობ, რომ რაღაცას, რაც მარჯვნივ, ე. ი. მთავრობის სახლის წინ ხდება, უნდა მომანიდოს.

ბავშვის ცნობისმოყვარეობა მოგვსენებდა, კისერი იქით მდრინებდა, სადაც ვხედავ, რომ უამრავი ხალხია შეკრებილი... დედას წინააღმდეგობას ვუწევ, ხელიდან ვუსხლტები და გავრბივარ.

მთავრობის სახლის მშენებლობა გაჩაღებული და, როგორც ყველგან და ყოველთვის, სამუშაოები ღობის შიგნით მიმდინარეობს.

ჩემთვის ეს ღობე იქურობის ისეთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, როგორც სკოლის შენობა, ცა და მიწა.

პირველი და უჩვეულო, რაც თვალში მხვდება, მორღვეული ღობეა.

მის ადგილას უამრავი ხალხია შეტყუებული.

ჩემსკენ მზრუნველ დგანან. წვალეებით მივიკვლევ გზას მათ შორის.

შემზარავი სურათი იშლება ჩემს თვალწინ.

უზარმაზარი თხრილი – ზუსტად იმ ადგილას, სადაც მრავალი წლის შემდეგ, 9 აპრილს ხალხი დაიღუპება, სადაც კიდევ უფრო მრავალი წლის შემდეგ, 2003-ში, გიორგობა დღის წინადაღს, ტელევიზიის ავტომბუსებს დალენჯავნა – უზარმაზარ თხრილს... და თხრილში, თავახდელ საფლავებში წამწკრივებულ კუბოებს ვხედავ...

გამსწრა, ვერაფერს მივხვდი. წარმოიდგინეთ, პატარა ბიჭის შიში და განცდა. როცა გონს მოვედი დედას ვყავდი მიხუტებული და შინ მივყავდი.

მხოლოდ კარგა ხნის მერე მიამბო სობროს შესახებ, რომელიც დღევანდელი მთავრობის სახლის ადგილზე მდგარა და რომელიც გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკებს დაენგნათ. თუმცა 1921-ში მათვე მიუღიათ მოულოდნელად ჰუმანური გადაწყვეტილება და ნებართვა გაუციათ – „სობროს“, ტაძრის ეზოში, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მრძოლაში დაღუპული იუნკერების დასაფლავებისა.

სწორედ იმ თავდადებულ მებრძოლთა სასახლეები ვნახეთ მე და იქ შეგროვილმა ადამიანებმა მაშინ, როცა წარსულზე ქვაფენილის დაგებას იწყებდნენ.

დახს, ეს ადგილი სასაფლაოა.

XX საუკუნის სისხლიანი სასაფლაო. ფრთხილად იყავით!

#### გომი ხარაბაძე,


(წიგნიდან – „წყნარად, წარსული, წყნარად“...)

## აგასთუბნის ფარისცვალების სახელობის ტაძარი ბიძინა ივანიშვილის ოჯახმა ააშენა

მაცხოვრის ფარისცვალების დღესასწაულზე, 17 აპრილს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსმა, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა, თეოდორემ (ჭუბუბი) აგასთუბანში ახალაგებული ფარისცვალების სახელობის ტაძარი აკურთხა.

„მე მიინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც იშრომა ამ შესანიშნავი ტაძრის ასაშენებლად. მიინდა განსაკუთრებულად დავლოცო და დიდი მადლობა გადავუხადო მატონ ბიძინა ივანიშვილს და მის ოჯახს, რომელმაც ააშენა ეს ტაძარი და, რა თქმა უნდა, არა მარტო ეს ტაძარი, მათ მრავალი ტაძარი აქვთ აშენებული საქართველოში, მრავალი ძველი ტაძარი ანის რესტავრირებული და ერთ-ერთი ყველაზე განსაკუთრებული ტაძარი მთელი საქართველოსთვის, აწყურის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, რომელიც იყო აწყურის ღვთისმშობლის ხატის ტაძარი, აწყურის ღვთისმშობლის ხატი იყო დავანებული ამ ტაძარში, ღვთისმშობლის ხელთუქმნილი ხატი. უკვე თითქმის მთავრდება, გუმბათის გადახურვა მიმდინარეობს და ალბათ ახლო მომავალში აწყურის ტაძარიც იქნება და, რა თქმა უნდა, ეს ტაძარიც მატონ ბიძინა ივანიშვილის და მისი ოჯახის დაფინანსებით კეთდება.“

ასევე, ეს შესანიშნავი მონასტერი, რომელიც თქვენ კარგად გახსოვთ, განსაკუთრებით აზასთუბნელებს, რა მძიმე მდგომარეობაში იყო 2008 წლის ხანძრის შემდგომ, და დღეს უკვე თითქმის



